



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-442/2017

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და
თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის
არჩევნებისათვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
ა.(ა).ი.პ. „საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატია ასოციაცია“ დამკვირვებელთა
რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 9 ნოემბერი

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ა.(ა).ი.პ. „საქართველოს
კონსტიტუციურ-დემოკრატია ასოციაცია“ მიერ თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი
თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის დამკვირვებელთა
რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილი იქნა განცხადება №03-11/2017 (ცესკოში რეგისტრაციის
№5156/09.11.2017). საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 35-ე მუხლის
მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს
უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება –
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან
ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული,
ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით
უფლებამოსილებასაც. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ინფორმაცია
აისახება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამავე კანონის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემებისა და ხსენებული ორგანიზაციის მიერ 2017 წლის 10 ოქტომბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი წესდების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის მიხედვით, ა.(ა).ი.პ „საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატია ასოციაცია“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თავმჯდომარე - თეიმურაზ თუმანიშვილი, რომლის ხელმოწერაც არ ფიქსირდება აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლების ადგილობრივ დამკვირვებლებად რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ განცხადებაზე (განცხადება ხელმოწერილია ირაკლი ტორონჯაძის მიერ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 35-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 312-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვას თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას „საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატია ასოციაცია“ დამკვირვებელთა რეგისტრაციაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენის გამო.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი